**სსიპ შოთა რუსთაველის**
**საქართველოს ეროვნული**
**სამეცნიერო ფონდი**

1 აგვისტო 2023          ქ. თბილისი

**გენერალური დირექტორის**

**ბრძანება № 126**

**„საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2020 წლის 23 მარტის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N948487, 31.07.2023) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

**1.** შევიდეს ცვლილება „საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2020 წლის 23 მარტის №24 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული შუალედური და საბოლოო პროგრამული ანგარიშის ფორმები ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.

3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე განთავსებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

**ერეკლე ასტახიშვილი**

დანართი
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2023 წლის ----1----- აგვისტოს N --126-- ბრძანებით

# სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტის პროგრამული ანგარიში თავფურცელი / ზოგადი ინფორმაცია

| | | |
|---|---|---|
| 1 | **საგრანტო ხელშეკრულება №** | |
| 2 | **ანგარიშის ტიპი**<br>• **საბოლოო**<br>პირველადი/დაზუსტებული: | |
| 3 | **პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)** | ☐ 3 ☐4 ☐5 ☐6 |
| 4 | **პროექტის ხანგრძლივობა:**<br>• პროექტის დაწყება (რიცხვი/თვე/წელი):<br>• პროექტის დასრულება (რიცხვი/თვე/წელი): | |
| 5 | **საგრანტო პროექტის სახელწოდება:** | |
| 6 | **კონკურსი, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა პროექტი:** | |
| 7 | **სამეცნიერო მიმართულება:**<br>**ქვე-მიმართულება:**<br>(მიუთითეთ სიტყვიერად და კოდი კლასიფიკატორიდან): | |
| 8 | **გრანტის მიმღები წამყვანი ორგანიზაცია**<br>• ორგანიზაციის დასახელება:<br>• სტატუსი (სსიპ, ააიპ, სხვ.):<br>• საიდენტიფიკაციო კოდი: | |
| 9 | **გრანტის მიმღები წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელი/პასუხისმგებელი პირი:**<br>(სახელი, გვარი, თანამდებობა ტელ. ელ. ფოსტა) | |
| 10 | **საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:**<br>(სახელი, გვარი, ტელ. ელ. ფოსტა) | |
| 11 | **საგრანტო პროექტის კოორდინატორი:**<br>(სახელი, გვარი, ტელ. ელ. ფოსტა) | |
| 12 | **საგრანტო პროექტის ბუღალტერი:**<br>(სახელი, გვარი, ტელ. ელ. ფოსტა) | |
| 13 | **თანამონაწილე ორგანიზაცია**<br>• ორგანიზაციის სახელი:<br>• პასუხისმგებელი პირი:<br>(სახელი, გვარი, პოზიცია, ტელ. ელ. ფოსტა) | |
| 14 | **თანადამფინანსებელი ორგანიზაცია**<br>• ორგანიზაციის სახელი:<br>• პასუხისმგებელი პირი:<br>(სახელი, გვარი, პოზიცია, ტელ. ელ. ფოსტა) | |
| 15 | **პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:** | |
| 16 | **ფონდიდან მიღებული გრანტის მთლიანი ოდენობა:**<br>(საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული) | |
| 17 | **საანგარიშო პერიოდისთვის ფონდიდან მიღებული გრანტიდან გაწეული ხარჯი:** | |
| 18 | **ფონდიდან მიღებული დაფინანსების ფარგლებში აუთვისებელი თანხა (ნაშთი)** | |
| 19 | **გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ტირაჟი:** | |

გრანტის მიმღები წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი:

საგრანტო პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

ანგარიშის ჩაბარების თარიღი

## 2. საანგარიშო პერიოდში გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება

---

- საანგარიშო პერიოდში გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება შესრულებულია ☐
- საანგარიშო პერიოდში გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებულია ნაწილობრივ/არ არის ☐ შესრულებული

---

*შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვალდებულებები არ არის შესრულებული ან შესრულებულია ნაწილობრივ, ქვემოთ მითითებულ ველში უნდა შეივსოს შესაბამისი ინფორმაცია - კონკრეტული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების მიზეზების და შესრულების ვადების შესახებ.*

## 3. პროექტის საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი შედეგების შესრულების ანგარიში

| N | პროექტის გეგმა-გრაფიკით დასახული შედეგი | შედეგის ამსახველი თანდართული მასალა |
|---|---|---|
| 1 | Choose an item. | |
| 2 | Choose an item. | |
| 3 | Choose an item. | |

*შენიშვნა: პროგრამული მონიტორინგი ხორციელდება შედეგების შესრულების ანგარიშის განხილვის საფუძველზე*

## 4. **კვლევის შემაჯამებელი მოკლე ანგარიში**

სამეცნიერო პროექტის მიზნები, ამოცანები და მიღწეული შედეგები (მოცემულ გრაფაში მიუთითეთ განხორციელებული სამეცნიერო პროექტის მიზნები, ამოცანები და პროექტის განხორციელების შედეგები. მოკლე ანგარიშის მოცულობა: რეკომენდირებული-400 სიტყვა, არაუმეტეს 800 სიტყვისა)

| |
|---|
| |

## 5. **სამეცნიერო პროდუქტიულობა** *(კვლევითი პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სამეცნიერო პროდუქტები)*

წიგნები, მონოგრაფიები, საგნობრივი ენციკლოპედიები

| № | ავტო-რ(-ებ)ი | პუბლიკაციის სათაური | ტომი/ გამო-ცემა | გამოცემის თარიღი | გამომცემლობა | ადგილობრივი/საერთაშორისო (მიუთითეთ ერთ-ერთი) | გამოცემის სტატუსი (გამოცემული/მიღებული) | გვერდების რაოდენობა | ინტერნეტ-ბმული |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | |

## 6. **პროექტის ძირითადი მიღწევები (ფონდის შიდა მოხმარებისათვის)**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პროექტის მნიშვნელობა სამეცნიერო საზოგადოებისათვის | |
| 2 | გრანტის მიმღები წამყვანი ორგანიზაციის მხარდაჭერის ხარისხის შეფასება პროექტის განხორციელებისას (მაგ. შესყიდვების დროულად განხორციელება) | |
| 3 | რეკომენდაციები ფონდისათვის კონკურსის ადმინისტრირებისა და მონიტორინგის კუთხით | |

## 7. პროექტის ზეგავლენა/მნიშვნელობა (impact)

აღწერეთ მნიშვნელოვანი წვლილი, ძირითადი მიღწევები, ინოვაცია, წარმატება, ან ნებისმიერი ცვლილება პრაქტიკასა და თეორიაში, რაც მიიღეთ პროექტის განხორციელების შედეგად და ეხება პროექტის ზეგავლენას

## 8. სირთულეები, პროექტის განხორციელების პროცესში (ფონდის შიდა მოხმარებისათვის)

| № | სირთულეები | სირთულეების გამომწვევი მიზეზები | გადაწყვეტის/ მოგვარების გზები (რა ზომები იქნა მიღებული არსებული სირთულეების გადასალახად) |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| 3 | | | |

*შენიშვნა: უნდა ჩაიწეროს სხვადასხვა ტიპის სირთულეები. მაგ: სამეცნიერო მუშაობისას წარმოქმნილი სირთულეები, ტექნიკური სირთულეები და სხვა.*

## 9. პროექტის შედეგების მოკლე რეზუმე (გამოსაქვეყნებელი ვერსია)

(წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ენაზე (ქართულად და ინგლისურად) და გასაგები უნდა იყოს ფართო საზოგადოებისათვის. რეკომენდირებულ სიტყვათა რაოდენობა - 250. რეზუმე უნდა მოიცავდეს პროექტის შედეგების მოკლე აღწერას. აგრეთვე, პროექტის განხორციელებისას გამოკვეთილ პერსპექტივებს და პროექტში მიღებული გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას ინტერდისციპლინარული, ინტერინსტიტუციონალური და/ან საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების თვალსაზრისით.

**10. დამატებითი ინფორმაცია, რომლის გაზიარებაც გსურთ ფონდისათვის**

| |
|---|
| |

პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა

წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი

ბ.ა.

თარიღი: ___________